სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

ანგარიში

2022

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მთავარი ამოცანა სკოლებში უსაფრთხო, პოზიტიური, ზრუნვაზე ორიენტირებული და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს ხელშეწყობა და განმტკიცებაა. ამ მიზნით, 2022 წელს, გასული წლების მსგავსად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა არაერთი მნიშვნელოვანი, ინოვაციური პროექტი განახორციელა[1].

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები

გაფართოების გეგმის თანახმად, 2022 წელს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, დამატებით 85 საჯარო სკოლაში შევიდა. კონკურსის წესით შეირჩა და მოსამზადებელი კურსი წარმატებით გაიარა 357 ახალმა მანდატურმა, რომლებიც თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებში განაწილდნენ.

მოცემულ ეტაპზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, საქართველოს მასშტაბით, 692 საჯარო სკოლაში, 2 კერძო სკოლასა და 1 პროფესიულ კოლეჯში უზრუნველყოფს.

პრევენციული მიმართულების გაძლიერებისა და სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებისთვის, საქართველოს საჯარო სკოლებში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების მიერ, წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიზანსა და ამოცანაზე ორიენტირებული ღონისძიებები ჩატარდა, კერძოდ:

[1] გასულ წლებში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ნახვა შესაძლებელია სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.mandaturi.gov.ge

- შედგა გაცნობითი ხასიათის 2 805 შეხვედრა I კლასის მოსწავლეებთან.
- გაიმართა 4 816 შეხვედრა საგზაო უსაფრთხოების თემაზე, I-VIII კლასის მოსწავლეებისთვის.
- ჩატარდა 372 საინფორმაციო-საგანმანათლებლო ონლაინ შეხვედრა VII-XII კლასის მოსწავლეებთან, ძალადობისა და კიბერბულინგის გავლენებზე, პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე.
- რეგულარულად ხორციელდებოდა სასკოლო აქტივობები მოსწავლეებთან, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ანტიდისკრიმინაციული მიდგომები, სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა, ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი, გენდერული თანასწორობა, ტოლერანტობა, ადრეულ ასაკში ქორწინება, ოჯახში ძალადობა, ადამიანის უფლებები, ბავშვთა უფლებები. აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 9417 მოსწავლემ.

თანამშრომლების პროფესიული განვითარება მანდატურის სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტია. შესაბამისად, განგრძობითი განათლების კუთხით, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.

წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა სასწავლო პროგრამით, 550 მანდატური გადამზადდა. 1 247 მოქმედ მანდატურს ჩაუტარდა ტრენინგების ციკლი ბულინგისა და ძალადობის სხვა ფორმების შესახებ.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია და გაეროს მოსახლეობის ფონდი, ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს - „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“. პროექტის ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისთვის შემუშავდა სასწავლო მოდული - „გენდერული მეინსტრიმინგი განათლებაში: ძალადობა გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა“. აღნიშნული სატრენინგო მოდულის საფუძველზე, 2022 წელს, მრავალეტაპიანი ტრენერთა ტრენინგი ჩაუტარდა მანდატურის სამსახურის კიდევ 13 თანამშრომელს. თავის მხრივ, ტრენერად მომზადებული მანდატურის სამსახურის თანამშრომლების მიერ გადამზადდა დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს 32

კოორდინატორი და 630 მოქმედი მანდატური თბილისიდან, ქვემო ქართლისა და გურიის რეგიონებიდან.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს მოსახლეობის ფონდის და ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში, სქესობრივი დანაშაულებისა და სექსუალური შევიწროების საკითხებზე ტრენინგი გაიარეს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს თანამშრომლებმა. ტრენინგზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური შევიწროების ფორმები, რეგულირების სამართლებრივი ჩარჩოები, არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის გამოვლენასთან დაკავშირებული სირთულეები, არსებული გამოწვევები და ტენდენციები, ასევე, მანდატურის სამსახურში დანერგილი სექსუალური შევიწროების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი განიხილეს.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის - „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“ მხარდაჭერით, ქალთა მიმართ და გენდერული ძალადობის შესახებ ცნობიერების

ამაღლების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციების - „ქალთა საინფორმაციო ცენტრი“ (WIC) და „საქართველოს გოგონა სკაუტთა ასოციაცია დია“-ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს მანდატურის სამსახურის სოციალურმა მუშაკებმა, დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს კოორდინატორებმა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა.

მანდატურის სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობდნენ პროკურატურის მიერ ორგანიზებულ, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის - „არა ფემიციდს“ ფარგლებში გამართულ შეხვედრებში.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გლობალური კამპანიის ფარგლებში, ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარათაკლიის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები გამართეს. ასევე, მოეწყო აღნიშნული სკოლის მოსწავლეების მიერ მომზადებული პოსტერების გამოფენა.



მჭიდრო თანამშრომლობა გაგრძელდა ევროპის საბჭოსთან, პროექტის „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსმა, გელა გელაძემ მონაწილეობა მიიღო ევროპის საბჭოს ახალი პროექტის პირველი მმართველი კომიტეტის შეხვედრაში. სხდომაზე პროექტის სამომავლო გეგმების შესახებ იმსჯელეს და უწყებებთან კონკრეტული თანამშრომლობის დეტალები განიხილეს.

აღნიშნული პროექტის მხარდაჭერით, ევროპის საბჭოს ექსპერტებმა, ადამიანის უფლებათა სასწავლო პროგრამით, ტრენერად გადაამზადეს აჭარისა და გურიის რეგიონების 17 მოქმედი მანდატური, რომლებიც მიღებულ ცოდნას კოლეგა მანდატურებს, სკოლის მოსწავლეებს და სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა პირებს უზიარებენ.

დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს თანამშრომლებმა და მანდატურებმა მონაწილეობა მიიღეს ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ჰიბრიდულ სასწავლო 8 კვირიან კურსში, რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციის (ECRI No.15) სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ. კურსი მიზნად ისახავს,

გააუმჯობესოს საქართველოში სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობები, ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისად.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ევროპის საბჭოსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, 2019 წლიდან, აქტიურად არის ჩართული კამპანიაში „მე ვირჩევ თანასწორობას“.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსმა, გელა გელაძემ მონაწილეობა მიიღო თანასწორობის კვირეულის გახსნით ღონისძიებაში, რომელსაც ევროპის საბჭო, პარტნიორ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, ყოველწლიურად ატარებს. შეხვედრას სხვადასხვა სახელმწიფოს უწყების, პარლამენტის, სახალხო დამცველის, არასამთავრობო სექტორის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

2022 წელს, თანასწორობის კვირეულის - „მე ვირჩევ თანასწორობას“ ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ორგანიზებით, საქართველოს საჯარო სკოლებში, თანასწორობისა და ტოლერანტობის თემებზე მრავალფეროვანი საინფორმაციო და შემეცნებითი ღონისძიებები ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღო 6000-მდე მოსწავლემ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, თანასწორობის კვირეულის ფარგლებში, თბილისის 6 საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეთა შორის ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის“ გაიმართა. ინტელექტუალური თამაშის მონაწილეებმა ადამიანის უფლებებთან, ტოლერანტობასა და თანასწორობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს უპასუხეს. თამაშის გამარჯვებულებსა და მონაწილეებს, ევროპის საბჭოს სახელით, სპეციალური საჩუქრები გადაეცათ.

მანდატურის სამსახურის ორგანიზებით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მრავალფეროვანი შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებები ჩატარდა თბილისისა და რეგიონების სხვადასხვა საჯარო სკოლაში. კვირეულის ფარგლებში, მანდატურებმა და ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურმა მუშაკებმა მოსწავლეებთან ბავშვთა უფლებების, ბულინგის წინააღმდეგ ბრძოლის, ჯანსაღი ცხოვრების წესის და ტოლერანტობის თემებზე შეხვედრები გამართეს; ჩატარდა ესეების კონკურსი, მოეწყო ნახატებისა და პოსტერების გამოფენა.

კოორდინირებული თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა, სკოლებში უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებთან, მათი დაძლევის გზებთან და სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით, შეხვედრები გამართა რესურსცენტრების წარმომადგენლებთან, სკოლის დირექტორებთან და პედაგოგებთან. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 2000-მდე ადამიანმა.

2022 წლის განმავლობაში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური რეგულარულად მართავდა სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრებს სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მოსწავლეებისთვის მომსახურების მიწოდებისა და რეფერირების მექანიზმის ფარგლებში, სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებებთან. საჭიროებიდან გამომდინარე, ხორციელდება კონკრეტული შემთხვევების ერთობლივი განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული ორგანიზაციის - „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, მათ შორის, აღნიშნული ორგანიზაციისა და კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის ერთობლივი პროექტის - „სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების გაძლიერება კახეთისა და გურიის რეგიონებში“ ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ბემონი“ ახორციელებს ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტს, სახელწოდებით - „სამოქალაქო საზოგადოების და პროფესიული ორგანიზაციების გაძლიერება უსაფრთხო, დაცული და ანგარიშვალდებული საზოგადოების უზრუნველყოფისთვის საქართველოში“. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სკოლაზე დაფუძნებული კომპლექსური პრევენციული მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა, რომელიც სასკოლო გარემოზე და მოსწავლეების ცოდნისა და სოციალური კომპეტენციის ამაღლებაზე ორიენტირებულ მიდგომებს აერთიანებს. ამ კომპლექსური პრევენციული მეთოდოლოგიის ერთ-ერთი ნაწილია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის გზამკვლევის შექმნა და პილოტირება საქართველოს 15 სკოლაში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2 დღიან ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებმა.

საგამოძიებო სამსახურის მიერ, ევროპის საბჭოს პროგრამის „ადამიანის უფლებების დაცვით საპოლიციო ზომების გატარება საქართველოში“ მხარდაჭერით, ჩატარდა შეხვედრები რეგიონალურ საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან, სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს რეგიონალურ ერთეულებთან, ასევე, აღნიშნულ რეგიონებში მოქმედ არასამთავრობო

ორგანიზაციებთან და საქართველოს სახალხო დამცველის ადგილობრივ წარმომადგენლებთან. შეხვედრებს დაესწრნენ სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის აჭარა-გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის კახეთის ცენტრების წარმომადგენლები.

მანდატურის სამსახური აქტიურად აგრძელებს მუშაობას რეგიონული ცენტრების ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. ამ მიზნით, 2022 წელს მანდატურის სამსახურს, კახეთის რეგიონში, ქ. გურჯაანში, დაემატა ახალი ოფისი, რომელიც გარემონტდა და აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. ასევე, განახლდა და სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ქ. რუსთავის ოფისს.

2022 წელს შემუშავდა და დაინერგა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის თანამშრომლის შეფასების წესი და პირობები. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს სამსახურის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც ხელს შეუწყობს სამსახურის ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას, მართვის სისტემის დახვეწას, თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესებას.

2022 წელს შემუშავდა და დამტკიცდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ახალი ემბლემა.

ფსიქოსოციალური მომსახურება

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი[2] მაღალკვალიფიციურ, უფასო ფსიქოსოციალურ მომსახურებას სთავაზობს საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულ სუბიექტებს. ცენტრში ფსიქოლოგიურ სერვისს ახორციელებს 38 ფსიქოლოგი, ბავშვთა და მოზარდთა 2 ფსიქიატრი. ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი, რომლის მიზანია დროული და დაუყოვნებელი ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურების მიმღებთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით, ფუნქციონირებს ვებ-გვერდი befriend.mes.gov.ge, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ ჩათის საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია.

წლის განმავლობაში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა აქტიურად გააგრძელა მუშაობა საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის კომპონენტისა და სოციალური მუშაკების როლის გაძლიერების მიზნით, რაც გულისხმობს მოსწავლეთა, მათი მშობლებისა და პედაგოგების მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, მოსწავლეთა ეფექტიანი სოციალური ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, თბილისსა და რეგიონებში, ახალი სოციალური მუშაკები დაემატნენ და მათი რაოდენობა 63-მდე გაიზარდა. სოციალური მუშაობის კომპონენტით, მანდატურის სამსახური ამჟამად შესულია საქართველოს 56 საჯარო სკოლაში. ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრებში დასაქმებულია 4 პროფესიული ზედამხედველი სოციალური მუშაობის მიმართულებით.

ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, როდესაც სოციალური მუშაკი სასკოლო ცხოვრების ორგანული ნაწილი გახდა და ის თავის ფუნქცია-მოვალეობებს უშუალოდ ადგილზე ახორციელებს. აქამდე, სოციალური მუშაობა სკოლებში საჭიროებისამებრ, ინტერვენციის ფარგლებში ხორციელდებოდა.

სკოლებში სოციალური მუშაობის დანერგვის, ეფექტიანი თანამშრომლობის, განხორციელებული ღონისძიებების შეჯამებისა და სამომავლო აქტივობების წარმატებით განხორციელების მიზნით, წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა ინტენსიური შეხვედრები საგანმანათლებლო

[2] საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი წარმოდგენილია 10 ლოკაციაზე: თბილისი - 2, თელავი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ახალციხე.

დაწესებულების დირექტორებთან, მათ მიერ მოწვეულ სუბიექტებთან და რესურსცენტრების ხელმძღვანელებთან, რომელთა სტრუქტურულ ერთეულშიც შედიან ის კონკრეტული სკოლები, სადაც მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკები არიან წარმოდგენილები. ასევე, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მანდატურის სამსახური სოციალური მუშაობის კომპონენტითაა წარმოდგენილი, სკოლაში სოციალური მუშაობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა შეხვედრები როგორც სკოლის ადმინისტრაციასა და პერსონალთან, ასევე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტების მიერ/ან მათი მხარდაჭერითა და სუპერვიზიით, საპილოტე სკოლებში ჩატარდა სხვადასხვა მიზანსა და ამოცანაზე ორიენტირებული ღონისძიებები, კერძოდ:

მოსწავლეებისთვის - განხორციელდა თითოეულ კლასში ფასეულობებისა და ღირებულებების შეტანა; ჩატარდა ტრენინგი ეფექტური კომუნიკაციის საკითხებზე; შეიქმნა სკოლის კლუბები; გააქტიურდა სკოლის თვითმმართველობები; გაიმართა შეხვედრები ადამიანის უფლებების და ბავშვთა ასაკში ქორწინების თემებზე, ასევე, პროფორიენტაციის საკითხებზე; ჩატარდა ემპათიის და ემოციების განვითარების აქტივობები; გაიმართა სხვადასხვა ტიპის კონკურსი, ფილმების ჩვენებები და დისკუსიები; მოეწყო პროაქტიული, მისალმების და განხილვის წრეები და სხვა.

მასწავლებლებთან/ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან - ცნობიერების ამაღლების, უნარ-ჩვევების გაძლიერების, რისკების გამოკვეთის და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, ჩატარდა ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა: სარისკო ქცევების პრევენცია და მათზე რეაგირება, დესტრუქციული ქცევის, კრიზისული სიტუაციების მართვა; მოწყვლადობის რისკის წინაშე მყოფი მოსწავლეების იდენტიფიცირება; სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან კომუნიკაციის პროტოკოლის აღსრულება; ბავშვთა უფლებები და ანტიდისკრიმინაციული მიდგომები. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, კრიზისული სიტუაციების მართვის პროტოკოლის

გაცნობის მიზნით. მოხდა LSCI[3] მეთოდის შესახებ მასწავლებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება. პედაგოგები გაეცნენ აღდგენით მიდგომებს, ბულინგის სქემას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

მშობლების მონაწილეობით - გაიმართა შეხვედრები და ტრენინგები შემდეგ თემებზე: ძალადობის, მათ შორის, ბულინგის ნიშნების ამოცნობა, რეაგირება და პრევენცია; ბავშვის განვითარების ეტაპები; მოზარდობის ასაკის თავისებურებები; დასჯა-წახალისება; პოზიტიური მშობლობა; ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის პრევენცია; სსსმ და შშმ მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებები. მომსახურებებთან ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია განახლებული მომსახურებების რუკის შესახებ.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, სოციალური მუშაობის ფარგლებში, 2022 წლის განმავლობაში, სხვადასხვა საინფორმაციო, საგანმანათლებლო, შემეცნებით, სპორტულ, სადისკუსიო და საინტერვენციო აქტივობაში ჩაერთო: 6 328 მასწავლებელი, 1 256 ადმინისტრაციის წარმომადგენელი; 70 358 მოსწავლე; 11 114 მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი [4].

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკები, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

[3] შენიშვნა: ცხოვრების ციკლის კრიზისული ინტერვენცია (LSCI) არის საერთაშორისოდ აღიარებული, ინტერაქციული თერაპიული მეთოდი, რომელიც ბავშვებსა და მოზარდებს ეხმარება პრობლემური სიტუაციების სწავლის შესაძლებლობებად გარდაქმნაში, პრობლემური სიტუაციის, კრიტიკული მოვლენის ან სტრესული ინციდენტების დეესკალაციასა და დაძლევაში.

[4] შენიშვნა: ღონისძიებებში ჩართული ადამიანების რაოდენობა მოცემულია აქტივობების დაჯამებით. შესაბამისად, შესაძლოა, მონაცემებში ადგილი ჰქონდეს პიროვნებ(ებ)ის დუბლირებას.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, აქტიურად განაგრძობდნენ მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების მომართვის საფუძველზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის: მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დადგენას და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შეფასებას; მოსწავლის ოჯახში ვიზიტს; ვიზიტის თაობაზე ანგარიშის მომზადებას; სამოქმედო გეგმის შედგენასა და შემაჯამებელი დასკვნის მომზადებას.

მოსწავლის სტატუსის შეჩერების მიმართულებით, 2022 წლის განმავლობაში, სოციალურმა მუშაკებმა, თბილისსა და რეგიონებში, რეაგირება მოახდინეს 254 მომართვაზე. შესწავლილი შემთხვევებიდან - 102 შემთხვევაში, სპეციალისტის მუშაობის შედეგად, მოსწავლე სასწავლო პროცესს დაუბრუნდა, ხოლო 70 მოსწავლესთან მიმდინარეობს სასკოლო გარემოში მოსწავლის დაბრუნებისთვის მუშაობის პროცესი. 65 შემთხვევაში, მოსწავლეს შეუჩერდა სტატუსი. აქედან, 32 შემთხვევაში, სტატუსის შეჩერების მიუხედავად, მიმდინარეობს სტატუსის აღდგენის პროცესის მხარდაჭერა[5]. შესწავლილი შემთხვევებიდან - 17 შემთხვევაში, მოხდა სხვა შესაბამისი უწყების ჩართვა.

2022 წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში სულ შემოვიდა 3 556 ახალი შემთხვევა. აქედან, 2 633 შემთხვევის რეფერირება განხორციელდა სკოლებიდან, ხოლო 923 ბენეფიციარმა თვითდინებით მიმართა ცენტრს, გადმომისამართდა სხვა სუბიექტის მიერ, შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით და/ან შემთხვევა იდენტიფიცირებული იქნა ცენტრის თანამშრომლის მიერ. საანგარიშო პერიოდში, 24 საათიან ცხელ ხაზზე მიღებულია 568 შეტყობინება.

მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის კომპეტენციის მიღმა არსებული მომსახურების მიღების მიზნით, სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებელ სამსახურში, ცენტრის მიერ გადამისამართდა 517 მოსწავლე. ცენტრის სპეციალისტები აქტიურად თანამშრომლობენ შემთხვევებში ჩართულ უწყებებთან და მონაწილეობენ მულტისექტორულ შეხვედრებში.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში ფუნქციონირებს კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, რომლის მიზანია კრიზისული შემთხვევების ადგილზე შეფასება, სიტუაციის პირველადი მართვა, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და შემდგომი

[5] შენიშვნა: სტატუსის შეჩერების მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, გახდა მოსწავლის საზღვარგარეთ ან საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ყოფნა; პროფესიული განათლების მიღების მიზნით, ატესტატის გატანა.

ღონისძიებების დაგეგმვა. გუნდი, საჭიროებისამებრ, მუშაობს მოსწავლეთა მშობლებთან და სკოლის წარმომადგენლებთან. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ბავშვებსა და მოზარდებში ფსიქოლოგიური ტრავმის ჩამოყალიბების რისკს.

ამ მიზნით, 2022 წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ განხორციელდა 841 ვიზიტი საჯარო სკოლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური აგრძელებს სასკოლო მედიაციის საპილოტე პროექტის განხორციელებას საქართველოს საჯარო სკოლებში. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სასკოლო მედიაცია საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღდგენითი პროცესების, კონფლიქტებზე რეაგირების და მათი კონსტრუქციული გზით გადაჭრის საუკეთესო მექანიზმია. მისი მიზანია, ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა, პროაქტიული რეაგირება და პრევენცია. მედიაციის პროცესს მანდატურის სამსახურის სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლები უძღვებიან. წლის განმავლობაში, მანდატურის სამსახურის მიერ გადამზადებული მედიატორებისთვის საერთაშორისო ექსპერტის მიერ განხორციელდა სასკოლო მედიაციის პროცესის სუპერვიზიის 5 სესია.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, 2022 წლის განმავლობაში, აქტიურად განაგრძობდა ცენტრის ბაზაზე ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფურ თერაპიასა და მშობელთა ფსიქოგანათლებას.

საანგარიშო პერიოდში, მოდიფიცირდა და განახლდა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მიერ მომსახურების მიწოდების წესი და მომსახურების მიმღებთა შეფასების ფორმები.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომელთათვის ხორციელდება პროფესიული ზედამხედველობა, რაც უზრუნველყოფს სპეციალისტების გადაწვის პრევენციასა და მათ მიერ ეფექტიანი მომსახურების გაწევას. წლის განმავლობაში, ცენტრის ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკებისთვის ჩატარდა სუპერვიზიის 28 ინდივიდუალური და 49 ჯგუფური სესია.[6]

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქიატრთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით, მიმდინარეობს განგრძობითი განათლების უწყვეტი პროცესი. ცენტრის თანამშრომლები, როგორც შიდა რესურსით, ასევე სხვადასხვა ექსპერტის მიერ გადამზადდნენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა: კონსულტირება; ოჯახების კონსულტირება; პოზიტიური მშობლობა; ფსიქიკური ჯანმრთელობა; სუიციდის პრევენცია - თეორიული და პრაქტიკული გამოწვევები; ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია (მოდიფიცირებული), ბავშვთა შრომის, სექსუალური ძალადობის სამართლებრივი ასპექტები. ცენტრის თანამშრომლები გაეცნენ მოტივაციური ინტერვიუირების მეთოდებს; გაიმართა საინფორმაციო-სადისკუსიო შეხვედრა GEV-B მეთოდის (მიჯაჭვულობის კვლევისათვის ისტორიების დასრულების მეთოდი) გაცნობის ფარგლებში, „მიჯაჭვულობის თეორიის“ საკითხებზე.

მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგებმა მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაცია MAC GEORGIA-ს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „შფოთვისა და სხვა ემოციური სირთულეების მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა“; ასევე, ორგანიზაცია „ალიანსი უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგში - სარისკო ქცევის პრევენციის მოდული (ცოცხალი შესრულებით ანუ ფონოგრამის გარეშე).

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტები მონაწილეობდნენ ორგანიზაცია „GIP ფონდი გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში'' მიერ ორგანიზებულ რამდენიმე ეტაპიან ტრენერთა ტრენინგებში - ,,ცოცხალი შესრულებით, ანუ, ფონოგრამის გარეშე,“ ბავშვებთან და მშობლებთან მისაწოდებელი მოდულების მიხედვით.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის პროგრამა - „ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენცია მტკიცებულებითი მეთოდის (EUDAP Unplugged Program) გამოყენება“ წარმატებით ჩატარდა 4 საჯარო სკოლის 8 კლასში. ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის პროგრამა (13 წელს ზემოთ მოსწავლეებისთვის) ასევე წარმატებით განხორციელდა 41 საჯარო სკოლის 49 კლასში. ორივე პროგრამას წინ უძღვოდა არაერთი მოსამზადებელი სამუშაო შეხვედრა სკოლის

[6] სესიები მოიცავდა ინდივიდუალური მუშაობის, მულტიდისციპლინარული მუშაობისა და სასკოლო მედიაციის საკითხებს.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან. პროგრამის დასრულების შემდეგ, გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრები მოსწავლეების მშობლებთან.

ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ევროპული ცენტრის (EMCDDA) მიერ პოლონეთში, ქ. კრაკოვში ორგანიზებულ, ნივთიერებათა მოხმარების პრევენციის ტრენერთა ტრენინგში, მონაწილეობა მიიღეს ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სამმართველოს უფროსმა და ცენტრის ფსიქოლოგმა. კურსში, ასევე, მონაწილეობდნენ ევროპისა და მეზობელი ქვეყნების ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები. ნარკოტიკებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ევროპული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოცდის საფუძველზე, მანდატურის სამსახურის ორივე წარმომადგენელი ნარკოპრევენციის საკითხებზე სერთიფიცირებული ტრენერი გახდა.

2022 წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი უფასო ფსიქოსოციალურ მომსახურებას და საკონსულტაციო სერვისს სთავაზობდა უკრაინაში მიმდინარე ომით დაზარალებულ ადამიანებს. ამასთან, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტების მიერ შეიქმნა სპეციალური მოდული, რომლითაც მოხალისეობის მსურველ პირებს ჩაუტარდათ ტრენინგი. ამავე საინიციატივო კამპანიის ფარგლებში, უკრაინელ მოსწავლეებთან დაკავშირებული პირებისთვის შემუშავდა მატრამვირებელ მოვლენებზე საუბრის დროს გამოსაყენებელი დეტალური გაიდლაინი. 2022 წელს, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში დასაქმდა უკრაინიდან ჩამოსული სოციალური მუშაკი, რომელიც

სოციალურ მუშაობას ახორციელებს საქართველოს საჯარო სკოლებში, უკრაინელ მოსწავლეებთან.

2022 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, მაგისტრანტი ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკებისთვის ელექტრონული სასწავლო სახელმძღვანელოები შექმნა. სასწავლო მასალა, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, შესაბამისი სპეციალობის წარმომადგენელთა სასკოლო ჩარევებისთვის მზადებას ემსახურება და არსებული პრაქტიკის სპეციფიკას ასახავს. „სოციალური მუშაკის როლი სასკოლო გარემოს გაჯანსაღებისთვის“ და „სკოლის ფსიქოლოგის როლი სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისთვის“ - სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა. ეს პირველი ქართულენოვანი სასწავლო მასალაა აღნიშნულ თემებზე, რომელიც საუნივერსიტეტო სივრცეში ახალგაზრდა ფსიქოლოგებსა და სოციალურ მუშაკებს ამ ტიპის სამუშაოს შესასრულებლად მოამზადებს.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მიერ სპეციალურად შექმნილი ტრენინგ-მოდულით, იმ საჯარო სკოლებისათვის, სადაც არ არის წარმოდგენილი მანდატურის სამსახური, ხორციელდება სკოლის უფლებამოსილი პირების გადამზადება. საანგარიშო პერიოდში, გადამზადდა 113 უფლებამოსილი პირი.

ინკლუზია

საქართველოს ეროვნული განათლების სისტემის ხარისხისა და ინკლუზიურობის გასაძლიერებლად, გაეროს ბავშვთა ფონდის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ნორვეგიის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ეროვნული სამსახურის (STATPED) ერთობლივი პროექტის - „არც ერთი ბავშვი განათლების გარეშე“ ფარგლებში, 2021 წელს შემუშავდა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ეროვნული სისტემის ახალი მოდელი, რომლის დანერგვა დაგეგმილია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში.

ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი მომსახურების დანერგვის მიმართულებით, 2022 წელს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში დაიწყო რეფორმირების პროცესი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ჩართულობით, მომზადდა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი სისტემის დაფუძნებისთვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, ასევე ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი სისტემის მისიის განაცხადის სამუშაო ვერსია.

ინკლუზიური განათლების მომსახურებებში ჩართული სპეციალისტებისა და სფეროს ექსპერტების მონაწილეობით, ჩამოყალიბდა 5 თემატური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ყოველკვირეულად ხვდებოდა და განიხილავდა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი სისტემის დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. ცალკეული თემატური ჯგუფის ფარგლებში, ჩატარდა 8 სამუშაო შეხვედრა და მომზადდა ჯგუფის მუშაობის შედეგების შემაჯამებელი დოკუმენტები.

მოხდა ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის საქმიანობასთან დაკავშირებული საჭიროებების შესწავლა, აღნიშნული მიზნისთვის შემუშავებული კითხვარით. გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია გათვალისწინებული იქნება ახალ მხარდამჭერ სისტემაში, გუნდის მუშაობის ეფექტიანად წარსამართად.

ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობით არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლის ფარგლებშიც, მონაწილეები გაეცნენ ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ ახალ მოდელს და მის დანერგვასთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებს.

2022 წელს, გაიმართა ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი მოდელის წარდგენის ღონისძიება. პარტნიორმა მხარეებმა მონაწილეებს გააცნეს ახალი მოდელი და მისი

განხორციელების სტრატეგია. აღნიშნულ შეხვედრას სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების 150-მდე წარმომადგენელი დაესწრო.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში შედგა პროექტის „არცერთი ბავშვი განათლების გარეშე“ პარტნიორების სამუშაო შეხვედრა, რომლის დროსაც შეხვედრის მონაწილეებმა პროექტის ფარგლებში განხორციელებული ინიციატივები და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი მოდელის დაფუძნებისა და განვითარების სამოქმედო გეგმა განიხილეს.

პროექტის პარტნიორ მხარეებთან თანამშრომლობით, გაიმართა ლიდერობის განვითარების ტრენინგი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ახალი სისტემის დანერგვასა და შემდგომ მართვაზე პასუხისმგებელი პირებისთვის. ასევე, ჩატარდა კონსულტირების ტრენინგი იმ პროფესიონალებისთვის, რომლებიც ჩართული იქნებიან ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მომსახურებების განხორციელებაში, ახალი მხარდამჭერი სისტემის ფარგლებში.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, უსაფრთხო, ზრუნვაზე ორიენტირებული, ჰარმონიული და თანასწორი სასკოლო გარემოს განმტკიცების მიზნით, მიღწეული პროგრესის მდგრადობისა და სამომავლო განვითარების მიმართულებით აქტიურ მუშაობას აგრძელებს.